THE LEXICAL KNOWLEDGE OF THE MAIN COLORS IN THE ART OF GALAKTION TABIDZE

ძირითადი ფერების ლექსიკური გააზრება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში

Pheride Sanaia
PhD Student of Sokhumi State University,
Tbilisi, Politkovskaya street, #61, 0186, Georgia
+995 577 42 08 78, ferisanaia@gmail.com,
https://orcid.org /0000-0002-6963-6651

Abstract. The work analyzes the words representing the colors in the Galaktion Tabidzi's creativity. The paper begins with the study of the separation of basic colors, but the research is not limited to discussing only primary colors. Apparently, color is sometimes not mentioned in the poems of Galaktion Tabidze, however, other words are used in such a poetic way that it evokes the association of color and acquires the meaning of color. Chromatic and achromatic colors are grouped according to positive and negative content; The symbolic-semantic aspects of vocabulary are analyzed.

The study of vocabulary of colors is connected to the semantic of the word "color" itself which is related to many interesting issues. As it is known, a color can be given a symbolic meaning due to its emotional impact. Color-related vocabulary acquires metaphorical and poetic significance in poetry.

Each color represents a corresponding event or feature. In the literature it is stimulated by symbolic thought; All face-symbols can be understood differently by the reader and all understandings can be correct.

The authors refer to a color variation, where primary colors predominate, including different colors. Consequently, their attitude to a particular color, reflected in their work, is positive or negative. For example, white is the color of purity and purity, and in poetry it plays with a shade of cold, winter, cold, loneliness. the descriptive meaning of red is color, but in symbolic terms, red can be a symbol of war, joy or blood.

The analysis of used materials has shown that ,,blue" is a dominant color in Galaktio Tabidze's poetry. In poetry, blue / blue has acquired a mystical load. In this color is also the notion of memory, which is associated with the ideal. Let us recall, at least, Novalisi's "Blue Flower", Maeterlinck's "Blue Bird", Nikoloz Baratashvili's "Sky Color, Blue Color ..." and others.

Thus, among the features that determine the individuality of writers, a certain place is occupied by the use of colors. Although the content of the color symbols undergoes significant changes, from an interpretive point of view, the core of the color symbolism still remains unchanged. In poetry he deals with so many comprehensive issues that his understanding is sometimes different.

Keywords: Symbol, Lexical,Color, Poetry.

ფერიდე სანაია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. #61, 0186, საქართველო
+995 577 42 08 78, ferisanaia@gmail.com,
https://orcid.org /0000-0002-6963-6651

აბსტრაქტი.წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ, თუ რა სიმბოლური დატვირთვა აქვს ძირითად ფერებს გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში. საკითხის შესწავლა ბაზისურ ფერთა გამოყოფით იწყება, მაგრამ კვლევა არ შემოიფარგლება მხოლოდ ძირითადი ფერებით. იკვეთება, რომ გალაკტიონ ტაბიძის ლექსებში ზოგჯერ ფერი არ არის ნახსენები, მაგრამ სხვა სიტყვები ისე პოეტურად არის გამოყენებული, რომ ფერის ასოციაციას იწვევს და ფერის მნიშვნელობას იძენს.

ფერთა ლექსიკის კვლევა დაკავშირებულია თვით ,,ფერი" სიტყვის სემანტიკასთან, რომელიც მრავალ საინტერესო საკითხთანაა დაკავშირებული. თითოეული ფერით შესაბამისი მოვლენა ან თვისება გამოიხატება. როგორც ცნობილია, ფერს სიმბოლური დატვირთვა ემოციური ზემოქმედების გამო შეიძლება მიენიჭოს.

პოეზიაში ფერის აღმნიშვნელი ლექსიკა ახალ მეტაფორულ, პოეტურ მნიშვნელობას იძენს. ავტორები მიმართავენ ფერთა სიჭრელეს, სადაც უმთავრესად პირველადი ფერები დომინირებენ, ამასთანავე, იყენებენ განსხვავებულ ფერებსაც. შესაბამისად, დადებითი ან უარყოფითია მათი დამოკიდებულება კონკრეტულ ფერთან მიმართებით, რომელიც მათ შემოქმედებაში აისახება. მაგალითად, თეთრი სისუფთავისა და სიწმინდის ფერია, მაგრამ პოეზიაში სიცივის, ზამთრის, მარტოობის ელფერი დაკრავს.

ამგვარად, იმ თავისებურებათა შორის, რომლებიც განსაზღვრავენ მწერალთა ინდივიდუალობას, გარკვეული ადგილი უკავია ფერთა გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ ფერების სიმბოლოების შინაარსი მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის, ინტერპრეტაციული კუთხით, ფერთა სიმბოლიკის ძირითადი ბირთვი მაინც უცვლელი რჩება. პოეზიაში იგი იმდენად მრავლისმომცველ საკითხებს ეხება, რომ მისი გააზრება ზოგჯერ განსხვავებულია.

საკვანძო სიტყვები: სიმბოლო, ლექსიკა, ფერი, პოეზია.

შესავალი. ფერთა სისტემის შესწავლა მეცნიერების არაერთი დარგის ინტერესის სფეროს წარმოადგენს. ლექსიკის შესწავლაზე მიმართული კვლევების დიდი ნაწილი სხვადასხვა ენაში ფერთა სპექტრის დასახელებების შესწავლას ეთმობა. ამ საკითხის კვლევა საინტერესოა ზოგადლინგვისტური და ენის სტილისტიკური თავისებურებების თვალსაზრისით.

ფერის ფენომენის შესწავლა ენის ლექსიკური მონაცემების გათვალისწინებას მოითხოვს. ლექსიკური შემადგენლობა, როგორც ცნობილია, იცვლება არა ძველის გაუქმებისა და ახლის აშენების გზით, არამედ არსებული ლექსიკის იმ ახალი სიტყვების შევსების გზით, რომლებიც ეტაპობრივად, განვითარების კვალდაკვალ წარმოიშვნენ.

ადამიანები ფერებს განსხვავებულად აღიქვამენ, ხელოვნების გარკვეული დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, მისეულ ინტერპრეტაციას აძლევენ, ახალი სიმბოლური შინაარსით ამდიდრებენ მას და შესაბამისად, მისი ასოციაციური მნიშვნელობაც განსხვავებულია. ხელოვანი კი ამ არჩევნაში თავისუფალია. საბოლოოდ, ამ პროცესის დასკვნის სახით ჩამოყალიბება თავად სუბიექტში ხდება.

გოეთე ფსიქოლოგიურ ასპექტში განასხავებს დადებით და უარყოფით ფერებს. მისი აზრით, ფერები ზნეობრივ-გრძნობად გავლენას ახდენენ ადამიანზე. დადებითი ანუ თბილი ფერები (ყვითელი, წითელ-ყვითელი (ნარინჯისფერი), ყვითელ-წითელი) იწვევენ

მხიარულ განწყობილებას. ცივი ფერები კი (ლურჯი, ლურჯ-წითელი, წითელ-ლურჯი) უარყოფითი ემოციის მატარებელნი არიან.

ფერს გააჩნია როგორც მხატვრულ-ესთეტიკური, ისე სიმბოლური მნიშვნელობა. სიტყვა საგნის ნიშანია, მაგრამ როცა ინტელექტუალური დატვირთვა ენიჭება, მაშინ იგი ხდება სიმბოლო. თავის მხრივ, ფერთა სიმბოლიკა მოდის ყოველდღიური ადამიანური ყოფიდან, მათ შორის, რელიგიების ისტორიიდან და შემდეგ მკვიდრდება ესთეტიკასა და ლიტერატურაში. იგი შეპირობებულია ფსიქოლოგიური, ესთეტიკური და ფილოსოფიური ფაქტორებით. აქედან გამომდინარე, ფერთა სიმბოლიკა დამყარებულია არამხოლოდ პირდაპირ, არამედ თავისუფალ ასოციაციაზეც.

ლიტერატურაში ფერი სიმბოლური მოსაზრებით სტიმულირდება. ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთ წყაროს სწორედ სალიტერატურო ენაზე არსებული მხატვრული შემოქმედება წარმოადგენს.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზნებს წარმოადგენს: ფერის აღმნიშვნელი ლექსიკა-ფრაზეოლოგიის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი და ფუნქციონირების შესწავლა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების მიხედვით; ლექსიკური და სიმბოლური მნიშვნელობების წარმოჩენა/დადგენა; დადებითი და უარყოფითი სემანტიკური მოდელების შექმნა.

მეთოდები. წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: დაკვირვების, აღწერის, ტიპოლოგიური და ლოგიკური განზოგადების, განმარტებისა და სემანტიკურ-პრაგმატიკული ანალიზის მეთოდები; გარკვეული ადგილი ეთმობა სიმბოლოს სემიოტკურ ანალიზს.

ფერთა ამსახველი სიტყვების კვლევას ვაწარმოებთ ლინგვოკულტუროლოგიურ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით. ლინგვოკულტუროლოგია გულისხმობს კვლევათა ურთიერთდაკავშირებას ანუ ინტერდისციპლინარულობას, რაც აუცილებელს ხდის, ლინგვისტიკა-ლიტერატურათმცოდენობის, ფსიქოლონგვისტიკისა და სიმბოლოლოგიის მეთოდების გათვალისწინებასაც.

მსჯელობა და შედეგები. ფერები ორ ჯგუფად იყოფა, ესენია: ქრომატული (ფერადი) და აქრომატული ფერები („უფერული“). აღნიშნული ტერმინები ლინგვისტურ ლიტერატურაში ფსიქოლოგიიდან დამკვიდრდა, ფსიქოლოგიაში კი ფერთამცოდნეობიდან.

ოპოზიცია **თეთრი** და **შავი** დაკავშირებულია სინათლისა (დღე) და სიბნელის (ღამე) ცნებებთან; **რუხი** კი აღიქმება, როგორც ბუნდოვანი ფერი. ქრომატულ ჯგუფში შემავალი **წითელი** თავის რეფერენციაში შეიცავს სისხლის (ომის, ცეცხლის) კონცეპტს; **ყვითელი** უკავშირდება მზეს, **მწვანე** – ბუნებას, მცენარეულობას, **ლურჯი** კი ცას ან წყალს შეესაბამება.

ფერებს განსაკუთრებული ადგილი უკავია ,,მარტოობის ორდენის კავალერის“ პოეზიაში. მართალია, გალაკტიონ ტაბიძე თავიდან ,,ცისფერყანწელთა“ გუნდში ასოცირდებოდა, მაგრამ მოგვიანებით მან ეს ჯგუფი დატოვა.

ბაზისურ ფერთა ლექსიკურ-სემანტიკური თავისებურების შესასწავლად, საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებიდან. პოეტისლექსებში ფერი აქვს ხმას (**შავი გუგუნი),** სულს (**ცისფერი სული),** ოცნებას (**ჭრელი**), სიზმარს (**ფერად-ფერადი**), დღეს (**თეთრი**), ღამეს (**თეთრი, შავი**), ჰაერს (**ლურჯი**), მოგონებას (**ლურჯი**), ფიქრს (**თეთრი**), დროს (**წითელი**), უბედობას (**შავი**), სიკვდილს (**შავი...**), გოლგოთას (**ლურჯი**), ქალღმერთს (**თეთრი**), სამოთხეს (**თეთრი**), ზღვას (**თეთრი...**), განცდებს (**ლურჯი**), კოსმოსს (**ლურჯი**) და ა.შ.

გალაკტიონთან ლექსემებს: მზეს (სინათლეს), გაზაფხულს, სიცოცხლეს უპირისპირდება ღამე, შემოდგომა, სიკვდილი. ტრადიციულად, სიკვდილის ფერითი სიმბოლო შავია, თუმცა პოეტებთან იგი სხვადასხვა ფერითი ასოციაციებითაა წარმოდგენილი.

სიკვდილის კონტექსტში მზე – აბსოლუტურად კეთილი სუბსტანციაც კი, გალაკტიონ ტაბიძის ლექსში შავი ფერის ხდება: ,,**მზე** ჩავა, ამოვა, / **ყოველთვის შავია**!" (,,შიში").

გალაკტიონ ტაბიძის აზრით, არის ზეცის (თეთრი) და ჯოჯოხეთის (შავი) მზეები, რომელთა სხივებსაც (ანგელოსები – სიკეთე, სიცოცხლე მოაქვთ) და ჩრდილებსაც (დემონები – სიკვდილი, ბოროტება) სტყორცნიან დედამიწას და ერთ მთლიანობას ქმნიან.

პოეტს შეეძლო სხვადასხვა საგანში ერთი და იგივე ფერი დაენახა. პოეზიაში **თოვლი** ხშირად მარტოსულობაზე, სიცივესა და ცხოვრების გაუსაძლისობაზე მიგვანიშნებს. **თოვლი** გალაკტიონის ლირიკაში თეთრი, შავი, ლურჯი ან კიდევ ზამბახისფერი, ვარდისფერი და იისფერია, ასევე, ბროლივით გამჭვირვალე და მკრთალიც:

,,იქ **შავი თოვლივით** დამათოვს..." (შემოდგომა ,,უმანკო ჩასახების" მამათა სავანეში);

,,მე ძლიერ მიყვარს **იისფერ თოვლის...**" (,,თოვლი");

,,თოვლი, ფიფქი და აპრილი, **ვარდისფერი თოვლი**..." (,,მოვა... მაგრამ როდის?").

თოვლის ფერთა ცვალებადობით ავტორი წარმოაჩენს სულის განსაკუთრებულობას. ,,როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი, როგორმე ქარმა თუ მიმატოვა", – ზამთარი და ქარი, შეიძლება ითქვას, განსაცდელის სიმბოლოებია.

გალაკტიონ ტაბიძისთვის **თეთრი** რჩეული ფერია. როგორც ლ. სტურუა აღნიშნავს, თეთრ ფერს, ისევე, როგორც ლურჯს, მისი პოზიტიური შინაარსის მიუხედავად, სევდიანი ელფერი დაკრავს იდეალთან აბსოლუტური მიახლოების შეუძლებლობის გამო, ამაღლებულს, მარადიულსა და რეალურს შორის მკვეთრი კონტრასტის გამო" (სტურუა, 1974: 92).

ცალკე ჯგუფად გამოიყოფა ისეთი სახელები, რომლებიც სინათლისა და ფერის მოვლენებს ახასიათებენ. ქართულ ენაში გვხვდება ღია და მუქი, მხიარული და მწუხარე კატეგორიები: ფერის მახასიათებლების აღმნიშვნელი სიტყვებია: **ბაცი, ბნელი, გაცრეცილი, გახუნებული, ელვარე, თალხი, კამკამა, კაშკაშა, ლაპლაპა, მბზინავი, მიმქრალი, მკვეთრი, მკრთალი, მოღრუბლული, მუქი, მქრქალი, მცხრალი, მხიარული, ნათელი, ნაჯერი, პრიალა, სპეტაკი, ქათქათა, ღია, ციმციმა, ჭრელი, ჭროლა, ხასხასა...**

მკრთალი, შემკრთალი, ფერმკრთალი, გაფითრებული, გაფითრება უფერულია, უსიცოცხლო, ნაღვლიანი და უსიხარულოა: ,,და ლანდებით თეთრ სარკეზე / ჩნდება **სახე-მკრთალი**" (,,მარიამ ანტუანეტა"); ,,**მკრთალი** ვარდები დაცვივა ხელებს..." (,,ალვები თოვლში"); ,,...მაგრამ სანთლებზე უფრო ეგ სახე / იყო იდუმალ-**გაფითრებული**" (,,მერი"); ,,და შლიან **შემკრთალ** სურათის ფერებს" (,,სიბერე"); ,,და სული **ფითრდება** ნათელის ცვალებით" (,,სიზმრები"); ,,ოჰ! როგორ **გაფითრდა** ციურთა თანადი..." (,,ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი").

უარყოფითი მნიშვნელობა აქვს სიბნელის ფერით მოვლენებს. **წყვდიადი, ჩრდილი, ბინდი, ბნელი, სიბნელე** მწუხარებასთან ასოცირდება, **ღამე** კიიღებს იდუმალების სახეს:,,...მოვა **შუაღამის ბნელი** სტუმარივით / სანთლებს გაანელებს, დარბაზს დააბნელებს... / ცივი უდაბნოა ღამე უშფოთველი" (,,საუბარი ედგარზე"); ,,**საღამო** ნელდება და კვდება ვარდები... / მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით" (,,ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი"); ,,გადივლის თვალწინ დროთა **ბნელი** კორიანტელი" (,,უნაზესი ხელნაწერი"); ,,...და **სიბნელეში** აიმართნენ ბასრი კლდეები" (,,სიკვდილი მთვარისგან"); ,,აშრიალებდნენ ფოთლებს **ბნელ**-ხმიანს" (,,მერი"); ,,უცნაურ **ბინდში** გუთნეული მიყვება ჭალას" (,,წმ. გიორგი").

გალაკტიონის ლექსში ,,ათოვდა ზამთრი ბაღებს“ სიკვდილი ყველა თავისი ატრიბუტით **შავია:**

,,ათოვდა ზამთრის ბაღებს,
მიჰქონდათ შავი კუბო...“

ასევე უკუნი ღამის სიმბოლოა შავი ფერი, რომელიც სიმბოლოა სიკვდილისა და მწუხარების:

,,ბნელი ღამეა, მალე ინათებს,
ჩქარა, სიკვდილო, ოჰ, გევედრები,
გადმომივლინე ტკბილი ოცნება,
გადამაფარე **შავბნელი** ფრთები“.
/,,მე დავიბადე განთიადისას“/

მაგრამ პოეტის ლექსებში სიკვდილი კიდევ **თეთრია**:

,,ზამბახთა შორის **ყრია თეთრი**
ქანდაკებები,
თეთრი ძეგლები და იმათ ქვეშ ობლად
მარხია
გული, უგონო სიყვარულმა რომ შეარყია“.
/,,გული“/

ან კიდევ:

,,ოჰ! იგი აქ წევს **აბრეშუმის თეთრი ტალღებით...**
ამ ყვავილებში დავასვენე ჯერ ისევ დილით“.
/,,ორხიდეები“/

თეთრი ქანდაკებები, თეთრი ძეგლები მიცვალებულის ასოციაციაა, ხოლო **აბრეშუმის თეთრი ტალღა** თეთრი სუდარისა.

სიკვდილი გალაკტიონთან **ლურჯი** ფერიცაა:

,,და მწუხარების მალე ნიავში
მოფრინდნენ **ლურჯი ანგელოზები**“.
/,,ი.ა.“/

გალაკტიონთან სიკვდილი ვარდისფერია (არაბაზისური ფერი):

,,**სიკვდილის გზა** არრა არის **ვარდისფერ** გზის გარდა“.
/,,მთაწმინდის მთვარე“/

როგორც ლ. სტურუა წერს: ,,მისი მსოფლმხედველობიდან და ესთეტური მრწამსიდან გამომდინარე სიკვდილი მისთვის შავი ფერისაა, როცა ის ადამიანის ფიზიკურ სიკვდილთან არის დაკავშირებული; თეთრი ფერისაა, როცა ლაპარაკია სულის სიკვდილზე; ვარდისფერი, როცა სიკვდილი ესთეტურ ფენომენად არის მიჩნეული და საკუთარი უკვდავების რწმენაც განაპირობებს სიკვდილის ვარდისფერსა და ცისფერში აღქმას...“ (სტურუა, 1974: 126).

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში დომინირებს **ლურჯი**. ასე, მაგალითად, პოეტის ლექსში ერთ სტროფში ხუთჯერ გვხვდება ლურჯი, როგორც სივრცისა და სილამაზის ფერი:

ლურჯ მთების ზოლი ლურჯ ცისა სივრცეში
შორს, უსაზღვროდ შორს მიიკლაკნება,
ლურჯ ოკეანის ლურჯი ტალღები
ლურჯ ტყიან ნაპირს აქცევს, აკვდება...
/,,გემზე“/

პოეტისთვის **ლურჯი** სივრცის, სილამაზის, სიმაღლის ფერია. ლექსში ,,ეს მშობლიური ქარია“ ლურჯი ფერისაა მოგონებაც, რომელიც დაკავშირებულია

იდეალურთან, ხოლო „**თვალებდალურჯული თრთიან იალქნები**“ უნდა გავიგოთ როგორც ღამის ზმანება, სიზმარი, „ლანდებთან ლაციცი“.

,,არც ხმა, არც ჩურჩული,
ბინა – მინაგნები,
თვალებდალურჯული
თრთიან იალქნები,
ძილი მეგონება...
უცებ ქაოსიდან
ღამემ ამოზიდა
ლურჯი მოგონება.

ან კიდევ:

,,ცვივა **ლურჯი**, ფარული.
მოგონება ფარული“.
/,,უცანური სასახლე“/

,,**ლურჯი, ლურჯი** დღე არის,
განშორების დღე არის...“
/,,გვიანი ოცნება“/

როგორც კ. ბრეგაძე აღნიშნავს: ,,გალაკტიონთან ლურჯი ფერის სახისმეტყველება... ორმაგ თვისებას ავლენს: ერთი მხრივ, იგი მოიცავს საღმრთო ტრანსცენდენტური სინამდვილის, პარადიზული სივრცის სემიოტიკას... მეორე მხრივ, გალაკტიონის პოეტურ ტექსტებში ლურჯი ფერის სახისმეტყველება მოიცავს სიკვდილის, არარას (das Nichts), აპოკალიფსური ჟამის, ეგზისტენციალური მიუსაფრობისა და შიშის სემანტიკასაც“ (ბრეგაძე, 2009: 98).

გავიხსენოთ, თუნდაც პოეტის მშფოთვარე სულის სიმბოლიკა – ,,ლურჯა ცხენები“:

,,მხოლოდ **ნისლის თარეშში,** სამუდამო მხარეში,
ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები,
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან **ლურჯა ცხენები**!“

,,ნისლი“ ამბივალენტური ლექსემაა, რომელიც იძლევა ბევრნაირი ინტერპრეტაციის საშუალებას. იგი ერთსა და იმავე დროს აღნიშნავს დადებითსა და უარყოფითს, სიკვდილსა და სიცოცხლეს, კეთილსა და ბოროტს. ნისლი ასოცირებულია იდუმალებასთან, რაც, თავის მხრივ, ღვთაებრივის ნიშანია. ,,ნისლი ფიქრია მთებისა“, – წერს ვაჟა-ფშაველა. აქ ნისლი ადამიანივით სულიერია, გაურკვევლობაა, დაბრკოლებაა.

,,**ნისლი**, სულის და ქარის...“ (,,ჭიანურები“);

,,მათ **სიბნელეში ნისლიანი** და უეცარი“ (,,მგლოვიარე სერაფიმები“).

,,ნისლი“ევროპულ ზღაპრებში მომავლისა, იმქვეყნიურის ჩაკეტილობის სიმბოლოა, რაც სინათლით შეიძლება გაიხსნას, ხოლო იგიაღმოსავლურ-აზიურ ლირიკაში აფორიაქებული განცდების, ავი სულების სიმბოლა. ნისლის ქაოსიდან შემოქმედი ქმნის ,,ახალ წესრიგს“. ქართული ფრაზეოლოგიზმები: თვალებზე ნისლი გადამეკრა // ნისლი გადამეფარა, ნისლში წავედი... ცნობიერების დროებით დაკარგვას გამოხატავენ (ცეცხლაძე&სახუტაიშვილი, 2014: 195). ,,ნისლის გზა“ რჩეულთა გზაა, ამიტომ პოეტები ,,ავად არიან“ ნისლით, ,,მსოფლიო სევდით“ (ცეცხლაძე&სახუტაიშვილი, 2014: 196). ნისლისგან იბადებიან თუნდაც გალაკტიონის შეუცნობლისაკენ მსწრაფი ,,ლურჯა ცხენები“.

ლურჯი ტიპური ზეციური ფერია. ჩაღმავებისას ლურჯი სიმშვიდის ელემენტს წარმოშობს, მაგრამ შავისკენ გადახრის შემთხვევაში იგი არაადამიანური სევდის/განცდის ელფერს იძენს. ამრომანტიკულ ფერს გოეთემ ,,მომხიბლავი არაარსი“ უწოდა.

აბსტრაქტული ფერწერის ერთ-ერთი ფუძემდებლის ვ. კანდინსკის აზრით: ,,ლურჯი რაც უფრო ნათდება, მით უფრო კარგავს ჟღერადობას, სანამ მდუმარე სიწყნარეში არ გადავა, სანამ თეთრი არ გახდება. მუსიკალურად რომ წარმოვიდგინოთ, ღია ლურჯი ფლეიტას ჰგავს, მუქი – ჩელოს, კიდევ უფრო მუქი – კონტრაბასის არაჩვეულებრივ ჟღერას; უფრო ღრმა, საზეიმო ფორმაში ლურჯის ჟღერადობა ორღანისას შეიძლება შევადაროთ“ (კანდინსკი, 2013: 118). კანდინსკი არა ფერით გამოწვეულ ემოციას, არამედ თვით ფერს აქცევს ფსიქიკურ ფენომენად, როცა მას უდარებს ადამიანის სულიერ განწყობილებას.

ლურჯი ფერის სიმბოლიკის სემანტიკურ ველში ცისფრისა და სილაჟვარდის ფერთამეტყველებაც შემოდის. შეიძლება ითქვას, რომ ცისფერი ლურჯის ღია ტონალობას წარმოადგენს, რომელიც ისწრაფვის თეთრი ფერისაკენ. ქართულმა ენამ ლაჟვარდი ცის სილურჯეს მიუსადაგა, – ,,შორეული ცის სილაჟვარდე“ (გალაკტიონ ტაბიძე).

პოეზიაში ლურჯმა/ცისფერმა მისტიკური დატვირთვა შეიძინა. ამ ფერშია მოგონების ცნებაც, რომელიც დაკავშირებულია იდეალურთან. გავიხსენოთ, თუნდაც, ნოვალისის ,,ცისფერი ყვავილი“, მეტერლინკის ,,ლურჯი ფრინველი“, ნიკოლოზ ბარათაშვილის ,,ცისა ფერს, ლურჯსა ფერს...“ და სხვ.

,,მარტოობის ორდენის კავალერის“ლექსებში **ლურჯის** საწინააღმდეგო შინარსის შემცველია **ყვითელი.** სასოწარკვეთისა და უიმედობის ფერია ყვითელი გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში:

,,...და **ძველი ფოთლები ყვითელი**... / რომანში – ისვენებს შანდალი, / რომანში – შეშლილი სკვითელი (,,შემოდგომა ,,უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“); ,,ბავშვობაში **ყვითელ ფოთოლს** / მეძახოდნენ, ასე მახსოვს, / მამსგავსებდნენ სევდიან ფერს / ვნების ტბიდან ამონაქსოვს...“ (,,ყვითელი ფოთოლი“); ,,ერთმევა ფერი **ყვითელ** არეებს... მე დაჭრილი ვარ როგორც აფთარი“ (,,როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“).

ამდენად, ფერთა ლექსიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში. გვხვდება როგორც **მარტივფუძიანი** ფერთა სიტყვები (თეთრი, შავი, წითელი, მწვანე, ლურჯი, ყვითელი), ასევე **წარმოქმნილფუძიანი** (უთეთრესი, ულურჯესი, უუცისფერესი, მოიისფერო...), **რთულფუძიანი** (შავ-თეთრი, თეთრ-ვარდისფერი...) ფერის აღმნიშვნელი სახელები:

,,ყოველ **თეთრ ღამეს**, მთვარიან ღამეს“ (,,პრიმიტივი“); ,,**თეთრი** ჭაღარით მოსილი თმები / ელავდა ელვის ელვა-ციმციმით“ (,,აკაკის ლანდი“); ,,მიდიოდა მდინარე, როგორც **ლურჯი** ოლარი“ (,,მწოლარე“); ,,აზიის დაშლილი თმის **შავი** გიშერის / მსუბუქი ტალღები და **ლურჯა** ცხენები!“ (,,დრო“);,,...და მწუხარების მალენიავში / მოფრინდნენ **ლურჯი** ანგელოზები“ (,,ი.ა.“); ,,დატევებული ქარიშხალთა **წითელ** იზორით“ (,,მფარველი იალქნები“); ,,**მწვანე** ჭალებში აფრინდა მწყერი“ (,,გზაში“); ,,**უუცისფერეს** ცათა ცის ციდან თოვენ ჰანგებად თეთრი ვარდები“ (,,ლურჯი პოემა“); ,,იდუმალი და **მოიისფერო** წამს სიყვარული ასასწაულებს“ (,,ლურჯი პოემა“); ,,**თეთრ-ვარდისფერი** ალუჩები და შადრევნები“ (,,ვინ არის ეს ქალი?“).

გალაკტიონ ტაბიძესთან დასტურდება **ფუძის სახით, ბრუნვის ფორმით, ებ-იანი მრავლობითის ფორმით, აგრეთვე, ვითარების გარემოების ფუნქციით და ოდნაობითი ხარისხით (მო- -ო, -უ -ეს, სი-ე) გამოხატული ფერთა სახელები**.

,,**თეთრ** სამოთხეში სულად სულნელად უსათუთესნი ნაზად ყვავიან“ (,,ლურჯი პოემა“); ,,**შავ** ტანსაცმელით მე მოვირთვები“ (,,შერიგება“);,,**ყვითელ** ქაღალდზე დაღალული ხელით ნაწერი!“ (,,უნაზესი ხელნაწერი“); ,,სულის ფიქრების **უთეთრეს** მუზა მი ნაზ პრინცესა მეფა სოფიას“ (,,ლურჯი პოემა“); ,,**სითეთრე** შვენის მაღალ მწვერვალებს“ (,,ალვები თოვლში“); ,,მოსჩანს მტკვარი და მეტეხი **თეთრად** მოელვარე“ (,,მთაწმინდის მთვარე“).

ფერთა აღმნიშვნელი ზედსართავი სახელებისაგან იწარმოება ზმნები და სახელზმნები: ,,ისევ **ამწვანდა** მდელო და კორდი“ (,,მამული“); ,,ძონძებში და ჩალაში რაღაც **გალურჯებული...**“ (,,ეს სურათი“)

გალაკტიონ ტაბიძის ფერთა პალიტრაში გვხვდება **,,ფერ-“ კომპონენტით ნაწარმოები** რთულფუძიანი ფერის აღმნიშვნელ სიტყვები: **ცისფერი, ვარდისფერი, იისფერი, ოქროსფერი, ძოწისფერი, ვერცხლისფერი, ივლისისფერი, ქლიავისფერი, ღვინისფერი, ლომფერი, მრავალფერი...**

,,მე ძლიერ მიყვარს **იისფერ** თოვლის...“ (,,თოვლი“); ,,ელვარე და **ლომფერი** / იყო ცხრა ოქტომბერი“ (,,ელვარე და ლომფერი“); ,,თეთრად ელვარე ანგელოსების **ოქროსფერ** სხივთა ნაზი ვალსები“ (,,ლურჯი პოემა“); ,,ცაზე დაჰქრის მზე ტატოს მერანით და აფრიალებს **ძოწისფერ** დროშებს“ (,,ლურჯი პოემა“); ,,საიდუმლო მღერალი, კიდევ **მრავალფერ** ალით“ (,,Voiles“); ,,**ივლისისფერი** ყინვა თასებით“ (,,ალვები თოვლში“); ,,მჯერა მე შენი ძმობა / შენი **შეშლილი ფერი**“ (,,ჭიანურები“).

პოეტურ ელფერს სძენს **ქლიავისფერი**: ,,გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის? / ეს ჩემი სამშობლოს მთებია“. საოცარია დაბინდული ,,ქლიავისფერი“ მთების წარმოდგენა, მაგრამ გალაკტიონი იყო გენიოსი და გენიოსებს ფერთა აღქმაც განსხვავებული აქვთ.

ყოველი ახალი საგანი, ფორმა თუ მოვლენა, ახალი სიტყვების გაჩენის მიზეზია, რაც ენაში ახალი ლექსიკური ერთეულების ანუ ნეოლოგიზმების წარმოშობას იწვევს. ასე, მაგალითად, **,,ლომფერი“** ეკუთვნის გალაკტიონ ტაბიძეს. მანამდე ასეთი ფერი ქართულ პოეზიაში არ ყოფილა.

ცხადია, ნაშრომის ამ ნაწილში ვერ ამოვწურავთ გალაკტიონ ტაბიძის ფერთა პალიტრას, მაგრამ, დასკვნის სახით, უნდა აღინიშოს, რომ პირველ წიგნში პოეტი ხშირად იყენებს შავ ფერს, შემდეგ იგი ლურჯს ანიჭებს უპირატესობას.

დასკვნა. ამდენად, ფერის მნიშვნელობა რაიმე საგნის ან მოვლენის უმთავრეს თვისებას გამოხატავს და თავის თავში საპირისპირო თვისებების მქონე მოვლენებსაც აერთიანებს. ფერთა სიტყვები ასახავს ავტორის ემოციებს, მის მდგომარეობას, გვეხმარება ფარული აზრების აღმოჩენაში. ზოგჯერ შემოქმედი ფერების სიმბოლურ მნიშვნელობებს არ გამოკვეთს და მხატვრული ნაწარმოების ფერით სისტემაში იმაზე მეტის ამოცნობაა შესაძლებელი, ვიდრე ავტორი გულისხმობდა. ფერის სიმბოლური შინაარსის ახსნამ სხვა ფერებთან კავშირში, მასთან დაკავშირებულ ასოციაციებზე დაკვირვებამ, ფერის სიმბოლური მნიშვნელობის გასაგებად კონტექსტის გააზრებამ, რომელიმე კონკრეტული მიმართულების შესახებ შეიძლება მოგვაწოდოს გარკვეული სახის ინფორმაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბრეგაძე, კ. (2009). *ლიტერატურული და ენის ფილოსოფიური ნარკვევები* (ნოვალისი, ი. ვ. გოეთე, ვ. ფონ ჰუმბოლდტი...). თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.

კანდინსკი, ვ. (2013). *სულიერების შესახებ ხელოვნებაში.* (ლ. ღამბაშიძე, მთარგმნ.). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სიგუა, ს. (2002). *ქართული მოდერნიზმი.* თბილისი: გამომცემლობა „დიდოსტატი“.

სტურუა, ლ. (1974). *ფერის მხატვრული ფუნქცია გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში.* დისერტაცია. თბილისი.

ცეცხლაძე, ნ., & სახუტაიშვილი, მ. (2014). *სტილისტიკა.* თბილისი: გამომცემლობა „ივერიონი“.

ხინთიბიძე, ა. (1992). *გალაკტიონი თუ ცისფერყანწელები.* თბილისი: „გულანი“.

Гёте, И.Ф. (1957). *Избранные сочинения по естествознанию.*

Кандинский, В.(2008). *О духовном в искусстве.*

REFERENCES:

bregadze, k'. (2009). *lit'erat'uruli da enis pilosopiuri narkvevebi (novalisi, i. v. goete, v. Pon humboldt'i...) [Literary and philosophical essays on language (Novalis, J.W. Goethe, W. Von Humboldt...)].* Tbilisi: Publishing House „Meridiani".

k'andinsk'i, v. (2013). *Sulierebis shesakheb khelovnebashi [On the spiritual in art].* (L. Ghambashidze, Trans.). Tbilisi: Ilia State University Publishing House.

sigua, s. (2002). *Kartuli modernizmi [Georgian Modernism].* Tbilisi: Publishing House „Didostati".

st'urua, l. (1974). *Peris mkhat'vruli punktsia galak't'ion t'abidzis p'oeziashi [Artistic function of the colour in Galaktion Tabidze's Poetry]. Dissertation.* Tbilisi.

tsetskhladze, n., & sakhut'aishvili, m. (2014). *st'ilist'ik'a [Stylistics].* Tbilisi: Publishing House „Iverioni".

khintibidze, a. (1992). *galak't'ioni tu tsisperqants'elebi [Galaktioni or „Tsisferkantselebi"?].* Tbilisi: „Gulani".

Gjote, I. F. (1957). *Izbrannye sochinenija poestestvoznaniju [Selected Writings on Natural Science].*

Kandinskij, V. (2008). *O duhovnom viskusstve [On the spiritual in art].*